საქართველოს ისტორიული რუკების ვიზუალიზაცია ციფრულ ეპოქაში

მომხსენებელი: ერეკლე ლომთაძე
თანაავტორები: ანტონ ნადირაძე, თენგო ორაშვილი
e-mail: *erekle.lomtadze561@ens.tsu.edu.ge*
Department of Computer Science, Faculty of Exact and Natural Sciences, Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Tbilisi State University, 1 Ilia Chavchavadze Avenue, Tbilisi 0179, Georgia

პროექტის ფარგლებში შეიქმნა ინტერაქტიული ვებსაიტი, რომელიც ასახავს საქართველოს ისტორიული საზღვრების ცვლილებას სხვადასხვა ეპოქის მიხედვით. პლატფორმაზე განთავსებულია გაციფრულებული ისტორიული რუკები, რისთვისაც გამოვიყენეთ GIS და QGIS სისტემები, ასევე საბოლოო სახის მისაცემად Google Earth Pro-ს პროგრამული უზრუნველყოფა. მიზნის განსახორციელებლად, ისტორიული რუკებიდან საზღვრების ამოსაღებად და ვიზუალიზაციისთვის, გამოვიყენეთ, როგორც მანუალური, ასევე ავტომატიზებული მეთოდები. ამ პროცესში გამოყენებული იქნა არაერთი ხელსაწყო..

პლატფორმა მომხმარებლებს აძლევს საშუალებას იხილონ ისტორიული რუკების ციფრული ვერსიები, შეადაროს ძველი რუკები თანამედროვე მონაცემებს, დააკვირდნენ ისტორიულ ცვლილებებს და გაანალიზონ გეოპოლიტიკური ფაქტორები. პროექტი ხელს შეუწყობს საქართველოს ისტორიული მემკვიდრეობის დაცვასა და პოპულარიზაციას. იგი შესაძლოა გამოყენონ განათლების, კულტურისა და ტურიზმის დარგებში. ინიციატივა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახალგაზრდებისთვის ეროვნული თვითმყოფადობისა და ისტორიული ცნობიერების გაღრმავების მიზნით.

აღნიშნული პროექტის განზოგადება და სხვა ქვეყნებისთვის ადაპტირებაც შესაძლებელია. არსებული პლატფორმის სტრუქტურა და გაციფრულების მეთოდები შეიძლება გამოყენებულ იქნას მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონის ისტორიული საზღვრების ცვლილებების ვიზუალიზაციისთვის.

ლიტერატურა

[1]https://static.googleusercontent.com/media/www.google.com/en//educators/activities/Maps_JCescalante.pdf

[2] International Boundary Making - Haim Srebro FIG PUBLICATION NO 59[9] https://earth.google.com/intl/earth/

[3] CHAIKIN'S ALGORITHMS FOR CURVES Kenneth I. Joy Visualization and Graphics Research Group Department of Computer Science University of California,Davishttps://www.cs.unc.edu/~dm/UNC/COMP258/LECTURES/Chaikins-Algorithm.pdf

[4] საქართველოს გეოგრაფიული ატლასი 2018